საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დმანისის პლატო

დმანისის პლატო, პლატო საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, მდ. მაშავრის ზემო დინების აუზში.

აგებულია მეოთხეული ასაკის დოლერიტული ლავებით. გვხვდება ტბიურ-ტუფოგენური ქვიშების გამოსავლებიც. მაღლდება აღმიდან (900 მ -იდან) დას-კენ (1800 მ-მდე). დასერილია მდ. მაშავრისა და მისი შენაკადების კანიონისებრი ხეობებით.

დ. პ-ზე ზომიერად ნოტიო ჰავაა. იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 5–10°C შორის მერყეობს, იანვ. საშ. ტემპრა –2°C-იდან –7°C-მდე, ივლ. 13– 21°C. ნალექები 570–700 მმ წელიწადში. დ. პ-ს მთ. მდინარეა მაშავერა. მრავლადაა პატარა ტბები, მ. შ. უდიდესია ოროზმანის ტბა.

გაბატონებულია მთის შავმიწა ნიადაგი, არის მთის მდელოს ნიადაგიც. დ. პ-ზე ჭარბობს მთის სტეპები, რ-ებიც ზემოთ (დას-ით) მდელოს ფორმაციებში გადადის. ხეობებში აქა-იქ შემორჩენილია წიფლნარი და მუხნარ-რცხილნარი. ტერიტ. დიდი ნაწილი მთის სტეპურ ლანდშაფტს უჭირავს. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია დაჭაობებული მდელოს და ხევ-ხრამების ლანდშაფტები.

ქ. ჯაყელი